

საბა

საქართველოს კათოლიკეთს
ყოველთვიური მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

№9 (333) | 2023



მად 2023, პორტუგალია, ლისაბონი

30 წელი
საგონიძეულო
ადმინისტრაცია



სექტემბერი

- 1** სექტემბერი - ქმნილების დღე
- 2** სექტემბერი - დიაკ. კონსტანტინე აკოფაშვილის მღვდლად კურთხევა
- 5** სექტემბერი - წმ. ტერეზა კალკუტელი, მოწყალების მისიონერთა დების დამაარსებელი
- 8** სექტემბერი - მარიამის შობა, ვაღეს საკრებულოსა და ბათუმის დიდი ეკლესიის დღეობა
- 9** სექტემბერი - სინოდური კრება წეროვანში
- 14** სექტემბერი - ჯვართამაღლება, უნწის საკრებულოს დღეობა
- 15** სექტემბერი - მგლოვიარე ქალწული მარიამი, არალში შუა ფარების ეკლესიის დღეობა
- 16** სექტემბერი - მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)
- 21** სექტემბერი - წმ. მათე მოციქული და მახარებელი
- 29** სექტემბერი - წმ. მიქაელ, წმ. გაბრიელ და წმ. რაფაელ მთავარანგელოზთა დღესასწაული

ჩედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-10

ჩანართი:.....I-IV

სოციალური გვერდი -
Inner Georgia 11

ქრისტეს თანამედროვე
მონბენი..... 12-13

თეოლოგიური
გვერდი 14-15

ახალგაზრდული
გვერდი 16

კათოლიკური
კულინარია 17

საბავშვო გვერდი..... 18

ინფორმაცია..... 19



ეს მოხდა 1993 წლის 30 დეკემბერს...



ვატიკანი, 1993 წლის 11 აპრილი, აღდგომა

1993 - ახალი პრეზიდენტების წელი: ბილ კლინტონი (აშშ), ეზერ ვაიცმანი (ისრაელი), ძიანგ ზემინი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), მაჰამან უსმანი (ნიგერია), ალბერტ ზაფი (მადაგასკარი), დინგირი ბანდა ვიჯეტუნგა (შრი ლანკა), ხუან კარლოს ვასმოსი (პარაგვაის პირველი პრეზიდენტი 40 წლის შემდეგ); სამხედრო გადატრიალების შემდეგ ჰეიდარ ალიევი ხდება აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ნოროდომ სიანუკი კვლავ ხდება კამბოჯის მეფე; ეს ტერაქტების წელია იტალიაში, მილანში, ფლორენციაში, რომში თავს დაესხნენ ლატერანის ბაზილიკას (Basilica di San Giovanni in Laterano) და ველაბროს წმ. გიორგის ბაზილიკას (San Giorgio al Velabro), პალერმოში მოკლეს მღვდელი პინო პულიეზე, მაფიის დაუძინებელი მტერი; მანჰეტენზე, მოგადიშოზე (სომალი) და ბომბეიში თხუთმეტი ბომბი აფეთქდა სამ საათში, მუსლიმებსა და ინდუსებს შორის რელიგიური შეტაკებების დროს დაიღუპა ორასზე მეტი და დაიჭრა ათასზე მეტი ადამიანი; ამ წელს შეწყდა ცეცხლი და დაიდო ხელშეკრულება ერაყში, ბოსნიაში, ისრაელსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის; ვატიკანსა და ისრაელს შორის; მათ შორის, ბირთვული განიარაღებისათვის, ასევე, განხილულ იქნა რა-

დოაქტიური მასალის გაყონვა რუსეთის ატომური ელექტროსადგურიდან; ამ წელს დაარსდა ჩეხეთის რესპუბლიკა, დედაქალაქი - პრაღა და სლოვაკეთის რესპუბლიკა, დედაქალაქი - ბრატისლავა; მოსკოვში რუსულმა ჯარმა იერიში მიიტანა სახელმწიფო დუმის შენობაზე, რის შედეგადაც ათეულობით დეპუტატი დაიღუპა. ამ წელს შედგა კლინტონისა და ელცინის პირველი შეხვედრა; ეს წელი საჰაერო კატასტროფებითაც გამოირჩეოდა: თეირანი, სკოპიე...; ამ წელს ნელსონ მანდელას გადაეცა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში; ხორვატიის შეიარაღებულმა ნაწილებმა, ბოსნიის ომის დროს, დაანგრეს მოსტარის ხიდი, XVI საუკუნის უძველესი ქვის ხიდი, ქალაქის სიმბოლო; 1993 წელს პაპმა

მამა ბაბრიელ ბრამანტინი CSS

სტიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი
ეკუმენიზმისა და კულტურის
დარგში; ქუთაისის,
ბათუმისა და ოზურგეთის
საკრებულოთა წინამძღვარი



რედაქტორის გვერდი

განახორციელა სამოციქულო ვიზიტები იტალიაში, ესპანეთში, ალბანეთში, ლიეტუაში, ლატვიაში, ესტონეთში, იამაიკაში, მექსიკაში, უგანდაში, ბენინსა და დენვერში (კოლორადო).

1993 წელს კათოლიკურმა სამყარომ აღდგომა აღნიშნა 11 აპრილს. საინტერესოა, როგორ აღინიშნა ეს დღე ჩვენს ეკლესიებსა თუ ჩვენს კათოლიკეთა ოჯახებში? მორწმუნეთა შორის მოიძებნება ვინმე, ვისაც შეუძლია რაიმე გაიხსენოს ამ დღის შესახებ? 1993 წელს საქართველოში უკვე იმყოფება მეუფე ჟან პოლ გობელი, როგორც ადმინისტრატორი და ნუნციუსი... ამავე წელს ამერიკაში აღინიშნა მე-8 მსოფლიო ახალგაზრდების დღე, რომელშიც ალბათ არცერთ ქართველ ახალგაზრდას არ მიუღია მონაწილეობა... ბოლო ოცდაათწლიანი შეხვედრებისაგან განსხვავებით, მსოფლიო ახალგაზრდული დღეები აღინიშნა მადრიდში, კელნში, პარიზში, რომში და ა. შ. ... ამ შეხვედრებში მონაწილე რამდენ ქართველ ახალგაზრდას შეუძლია თქვას: მე ისევ აქ ვარ, საქართველოში, ჩემს კათოლიკურ სამრევლოში, რომელმაც იქ გამგზავნა?

სწორედ 1993 წლის 30 დეკემბერს პაპმა იოანე პავლე მეორემ ახალი იურიდიული ფორმა მისცა კათოლიკეების ორიათასწლოვან ყოფას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის დაარსებით, რითაც ჩვენს კათოლიკურ საკრებულოებს გაუხსნა ახალი გზა, რომელიც დღემდე გრძელდება... ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი ჩვენგანი გახდა მოწმე იმისა, თუ რისი „თქმა და გაკეთება სურდა სუ-

ლიწმიდას“ ჩვენს საკრებულოებში; ბევრ ჩვენგანს შეუძლია სიხარულით გაიხსენოს მრავალი მოვლენა, ინიციატივა, შეხვედრა, ზეიმი ამ 30 წლის მანძილზე... მეორე მხრივ, ბევრს შეუძლია ისაუბროს იმ არჩევანზე, რამაც თავისი ეკლესიის წიაღს დაამორა: ესეც შეიძლება დაეხმაროს მათ, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთგულებას იჩენს ჩვენი ეკლესიის მიმართ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვით!

სექტემბრის თვეც მოგონებების გაზიარებით იწყება: ლისაბონში მყოფი ახალგაზრდები იქ გატარებულ არაჩვეულებრივ დღეებზე გვესაუბრებიან, ოჯახები - თავიანთ გამოცდილებაზე, ადგილობრივი ახალგაზრდები - წლევანდელ საზაფხულო ბანაკებზე... მაგრამ, ასევე, გავიხსენებთ არა მხოლოდ ამ ზაფხულს მომხდარ სტიქიურ უბედურებას რაჭაში, არამედ იმასაც, რომ ჩვენს მთავრობას აქამდე არ გაუცია პასუხი კარდინალ პაროლინის წერილზე კათოლიკური ეკლესიების დაბრუნებასთან დაკავშირებით... და ამ თვეს ვინცებთ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღნიშვნით, კოტე აკოფაშვილის სამღვდლო ხელდასხმით. განა ეს ყველაფერი არ უნდა გავიაზროთ და მივილოთ, როგორც ამ ოცდაათწლიანი ქრისტიანული ცხოვრების ნაყოფი და წყალობა ჩვენს ოჯახებში, ჩვენს სამრევლოებში, ის მრავალფეროვანი ინიციატივები, რაც მას ავსებდა და ალამაზებდა, ჩვენი მწყემსების მოწმეობები, არ დავვიწყოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ 30 წლის განმავლობაში გახდნენ მღვდლები, ბერ-მონაზვნები, დიაკვნები, კატეხისტები, ან ისინი, რომლებმაც შექმნეს ოჯახი?



მსოფლიო ახალგაზრდობის დღე 2023



1-ელ აგვისტოს ლისაბონში ერთობლივი ლოცვისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და, უბრალოდ, ურთიერთობისთვის მსოფლიოს ყველა კუთხიდან სხვადასხვა აღმსარებლობის ახალგაზრდები შეიკრიბნენ. 2 აგვისტოს ახალგაზრდებთან შესახვედრად პორტუგალიის დედაქალაქს უწმიდესი ფრანცისკე ეწვია. „ამ სტუმართმოყვარე ქალაქისკენ ახალგაზრდების ზღვა მოედინება. მთელი მსოფლიოს ახალგაზრდები, რომელთაც ერთობა, ძმობა და მშვიდობა სწყურიათ, მათი კეთილი ოცნებების განხორციელებისკენ მოგვინოდებენ“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა ქვეყნის პრეზიდენტთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრისას. პაპთან შესახვედრად ლისაბონის ედუარდ მეშვიდის სახელობის პარკში 190-ზე მეტი ქვეყნიდან შეიკრიბნენ ახალგაზრდები. „ღვთისთვის ჩვენ უძვირფასესი შვილები ვართ, და ის ყოველდღე მოგვიხმობს, რათა გულში ჩავგიკრას და გვანუგეშოს. ძვირფასო ახალგაზრდები! მოდით, დღეს დავეხმაროთ ერთმანეთს ამ რეალობის გაცნობიერებაში. დაე, ეს დღეები ღვთის ამ მოწოდების გამოძახილად იქცეს. ღვთის გული სწორედ თქვენთვის ძგერს“, - მიმართა უწმიდესმა ფრანცისკემ შეკრებილებს.

ბევრ მონაწილეს ლისაბონში ჩასვლისთვის დიდი სირთულეების გადალახვა მოუხდა. ლიბერიელმა მღვდელმა, მამა ჯონ კლენეტ კომბომ სააგენტო Catholic News Agency-ს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ოთხი ქვეყანა და არაერთი დაბრკოლება გადალახეს, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწიეს: „საქმე ისაა, რომ ლიბერიაში პორტუგალიის საელჩო არ არის. ამიტომ ჩვენ, რვა ახალგაზრდა, მე და მამა ერნესტ ვიზნერი, ჯერ გვინება ჩავედით, იქიდან კი სენეგალში. ვიზების მიღება გართულდა, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს. 1-ელ აგვისტოს, ფორუმის გახსნის დღეს, ლისაბონში ვიყავით“.

უკრაინელმა მომლოცველებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებული სითბო და თანაგრძნობა იგრძნეს ფორუმის მონაწილეებისგან. „4 აგვისტოს უკრაინაზე

მორიგი სარაკეტო თავდასხმის შესახებ შევიტყვეთ და ლოცვა დავინყუთ. ამ დროს ჩვენ გვერდით იტალიელი მომლოცველები იყვნენ. როგორც კი შეიტყვეს რაში იყო საქმე, დაუყოვნებლივ შემოუერთდნენ ჩვენს ლოცვას. ფორუმის მსვლელობისას არაერთი ადამიანისგან მოვისმინეთ თანაგრძნობის სიტყვები. ყველანი გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენთვის ლოცულობდნენ. ამ სითბოს გულებში შევინარჩუნებთ და ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ახლობლებს გადავცემთ. ვეტყვი, რომ ადამიანებს ვახსოვართ, რომ მარტონი არ ვართ“, - აღნიშნა კიეველმა მონაწილემ, მარინა ალექსეევამ.

4 აგვისტოს უწმიდესმა ფრანცისკემ და სხვა ღვთისმსახურებმა ლისაბონის ვასკო და გამას სახელობის პარკში ახალგაზრდა მომლოცველთა აღსარებები მოისმინეს. აღსარებებისთვის პორტუგალიის ციხეებში გადამუშავებადი მასალისგან საგანგებოდ დამზადდა 150 ჯიხური. „აღსარების შემდეგ ხუთი საათი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ ეს მართლაც მოხდა. აღსარებისთვის წინასწარ მოვემზადე. ვიცოდი, რომ სულ რაღაც 10-15 წუთი გვექნებოდა. მინდოდა სრულად გამეხსნა გული უწმიდესი მამისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მრცხვენოდა, მაინც მოვუყევი ჩემი ცოდვების შესახებ, რაც დიდ ტკივილს მაცენებდა. მან ცოდვები მომიტევა და მითხრა, რომ სიყვარულის უნარი უნდა შევინარჩუნო, რომ უნდა მიყვარდეს მაშინაც, როცა სიყვარულისთვის მიზეზი თითქოს არ არსებობს, რომ არ დავკარგო ქრისტეს მიმდევრობის სიხარული“, - მოუთხრო სააგენტოს თანამშრომელს 23 წლის ესპანელმა ფრანცისკე ველარდემ. ამავე დღეს უწმიდესი ფრანცისკე სამოციქულო წუნციატურაში ქვეყნის რიგით მეორე ყველაზე ხანდაზმულ მკვიდრს, 110 წლის ქალბატონს, მარია დე კონსეისაო ბრიტოს შეხვდა.

6 აგვისტოს, დილით, უწმიდესმა ფრანცისკემ წმიდა წირვა აღავლინა. ქადაგების დასასრულს პაპმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ფორუმის 25 000 ახალგაზრდა მოხალისეს: „თქვენი დამსახურებით მსოფლიო ახალგაზრდობის დღე შედგა. ბევრი ირბინეთ, მაგრამ თქვენი რბოლა ამაო როდი იყო. თქვენ ლისაბონში იმისთვის კი არ ჩამოხვედით, რათა თქვენ გემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ ქრისტეს სახელით სხვებს ემსახუროთ. მადლობა. დიდი მადლობა“.



30 სექტემბრის კონსისტორიაზე ახალი კარდინალები დაინიშნებიან

ამის შესახებ უნმიდესმა ფრანცისკემ 9 ივლისს, წმიდა პეტრეს მოედანზე, ღვთისმშობლისადმი ლოცვის აღვლენის შემდეგ გამოაცხადა: „მათი წარმომავლობა მიუთითებს იმაზე, რომ ეკლესია საყოველთაოა, რომ ის მუდამ გვიცხადებს ღვთის მონყალე სიყვარულს ყველა ადამიანისადმი მთელ დედამიწაზე. გარდა ამისა, ახალი კარდინალების დამატება რომის ეპარქიაში მოწმობს მის უწყვეტ კავშირს წმიდა პეტრეს საყდარსა და მთელი მსოფლიოს ადგილობრივ ეკლესიებს შორის. მაშ, ვილოცოთ ახალი კარდინალებისთვის, რათა მათ დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება ქრისტეს მიმართ და, ღვთის მორწმუნე ხალხის სასიკეთოდ, დამეხმარონ ჩემს, როგორც რომის ეპისკოპოსის, მსახურებაში“. კარდინალთა კოლეგიას ოცდაერთი ახალი წევრი დაემატება, მათ შორის, ეპისკოპოსთა დიკასტერიის პრეფექტი, მთავარეპისკოპოსი რობერტ პრევესტი; რწმენის მოძღვრების დიკასტერიის პრეფექტი, მთავარეპისკოპოსი ვიქტორ მანუელ ფერნანდესი; აღმოსავლეთის ეკლესიათა საქმეების პრეფექტი, მთავარეპისკოპოსი კლაუდიო გუჯეროტი; იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი პიერბატისტა პიცაბალა; კეიპტაუნის, კორდოვას, ბოგოტას, ლოდზის, მადრიდის, ჰონკონგის, ლისაბონის, ჯუბას, ტაბორას, ჯორჯტაუნის (პენანგის), აიაჩოს მთავარეპისკოპოსები და დონ ბოსკოს საღვთისმშობლისა ორდენის წინამძღვარი, მამა ანხელ ფერნანდეს ანტიმე. გარდა ამისა, კარდინალთა კოლეგიას შეუერთდებიან მთავარეპისკოპოსი აგოსტინო მარჩეტო, კუმანას ეპერიტუსი ეპისკოპოსი დიეგო რაფაელ სანჩესი და ბუენოს აირესის ღვთისმშობლის ტაძრის აღმსარებელი, მამა ლუის პასკუალ დრი, რომელთაც ხანდაზმულობის გამო კონკლავზე ხმის უფლება არ ექნებათ.

სოლიდარობის მხირე ჟესტი

ორმოცდაორი უკრაინელი ბავშვი ნიკოპოლიდან, კრივოი როგიდან და დნეპროპეტროვსკიდან მეურვეებთან ერთად იტალიის სხვადასხვა ეპარქიაში ისვენებს. ინიციატივის განხორციელება შესაძლებელი გახდა ფონდ „კარიტასის“, ადგილობრივი სამრევლოებისა და იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის ხელშეწყობით. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ეს უკრაინის ხალხისადმი სოლიდარობის მხოლოდ მცირე ჟესტია.



კათოლიკე ეკლესია ავღანელ ლტოლვილთა დახმარებას ბანამბრობს

1-ელ აგვისტოს, ჰუმანიტარული დერეფნის გავლით, ევროპაში, ამჯერად რომში, ავღანეთის ოცდაორი მოქალაქე, მათ შორის, ხუთი არასრულწლოვანი ჩავიდა. მათ განთავსებაზე კათოლიკე ეკლესია ზრუნავს. იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციისა და მთავრობის შეთანხმებით, კათოლიკე ეკლესია სამას ავღანელ ლტოლვილს მიიღებს. ასე ადამიანი უკვე იტალიაშია, დანარჩენები თავის ჯერს ელიან სატრანზიტო ქვეყნებში, სადაც მათ ადგილობრივი კათოლიკური სამრევლოები ეხმარებიან.



რომის პაპი მორწმუნეებს საქართველოში მენყერის შედეგად დაზარალებულებისთვის ლოცვისკენ მოუწოდებს.

„ვატიკან ნიუსის“ ინფორმაციით, რომის პაპმა ფრანცისკემ მორწმუნეებს მოუწოდა, ილოცონ საქართველოში დამანგრეველი მენყერის შედეგად დაზარალებულთათვის. პორტუგალიაში ვიზიტისას რომის პაპმა მხარდაჭერა გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს და სამძებრო-სამაშველო ჯგუფებს.

პაპმა ფრანცისკემ ასევე აღნიშნა, რომ ამ ტრაგიკულ ვითარებაში „ილია მეორის გვერდითა“.

Catholic.ge

მარიამის დიდება

მარიამობა, ჩვეულებრივ, წელიწადის ყველაზე თაკარა დღეებზე მოდის. ღვთისმშობლის განდიდებას კარგად უხდება ნათლითმოსილი სამყარო. საზაფხულო პასექი, აღდგომა, ტყუილად არ შეურქმევია ეკლესიას ამ დღისათვის, როდესაც ზეიმობს პირველი ადამიანის შესვლას იმ დიდებაში, რომელიც ღმერთმა გაუმზადა კაცობრიობას. ხარობს მარიამი ყველა იმათთან ერთად, ვინც მის მსგავსად ისმენს ღვთის სიტყვას და გულით ინახავს მას. მარიამი, თავისი შვილის კვალად, პირველია აღმდგართა შორის, იგია ის, ვინც ღებულობს სიცოცხლის ნიჭს, კურთხეული ყველა ქალს შორის, და ყველა თაობა შენატრის მას. ოლონდ, მარიამი როდი მოსწყდა ჩვენს კაცობრივ ბუნებას, მისი ხვედრი ხატია იმისა, რაც ჩვენ მოგველის. ჩვენც ვართ ხმობილნი, ვატართ სიტყვა და ხორცი შევასხათ მას ამქვეყნად, მივილოთ ქრისტეს ხორცი და მასში ვიცხოვროთ ერთად, ვიყოთ ყველა თაობასთან დადებული მისი კავშირის კიდობანი, გავხსნათ აღდგომის კარი ყველგან, სადაც სიკვდილი მეფობს. „იგია დასაბამი და ხატება იმისა, რაც გახდება შენი ეკლესია სისავსეში, იგია სასოების ნიშანი და ნუგეშის წყარო ჯერაც გზაზე მდგარი შენი ერისთვის“, - ვლოცულობთ წირვისას. აქ მარიამის თაყვანის-

ცემასთან როდი გვაქვს საქმე, არამედ ყველა ჩვენგანის საერთო საწყისთან, ისევე, როგორც საერთო მიზანთან, რასაც შუქსა ჰფენს ზეცად აღყვანების დღესასწაული; მარიამი, სახე ეკლესიისა, გვარწმუნებს, რომ საუკუნო სიცოცხლე ის მარადისობაა, რომელიც უკვე ახლავე იწყება ჩვენს ცხოვრებაში. დღევანდელი დღესასწაული ჩვენი ეკლესიისა დახსნილი კაცობრიობის მომავლის ფოტოა, რომელიც, წარსულის ნაცვლად, სწორედ რომ ჩვენს მომავალს შეგვახსენებს. ზუსტად შვიდ დღეში კი ვზეიმობთ მარიამ დედუფლის დღეს, რომელიც კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს ცისა და მიწის გვირგვინდადგმული დედუფალის დიდებას.

რა კარგია, რომ ჩვენი ეკლესიის მთავარი ტაძარი, საკათედრო, სწორედ მარიამის ზეცად აღყვანების სახელს ატარებს და ამ დღეს ზეიმობს თავის დღესასწაულს, რაოდენ მრავლისმეტყველია, რომ ჩვენი ეკლესიის ყველაზე მცირერიცხოვანი და შორი საკრებულო, ვარგავის ტაძარი, მარიამ დედუფლის სახელობისაა და საკათედროს დღესასწაულიდან მეშვიდე დღეს აღნიშნავს თავის დღეობას. მარიამთან ერთად, შეგვიძლია გულით ვუმღეროთ უფალს, რომ „მოხედა მან თავისი მხველის სიმცირეს“.



ნმ. მოციქულ მარ თომას ასირიულ-ქალდეური რელიგიურ-კულტურული ცენტრის კურთხევა გარდაბანში



საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში მცხოვრებ ასირიელთათვის 2023 წლის 10 ივლისს ქ. გარდაბანში ნმ. მოციქულ მარ თომას ასირიულ-ქალდეური რელიგიურ-კულტურული ცენტრის კურთხევა ერთ-ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელიც, გადაჭარბების გარეშე, ოქროს ასოებით ჩაინერება ჩვენი ერის მატთანში. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი, ამაღელვებელი და ემოციებით დატვირთული დღე იყო ჩვენი მრევლისთვის, განსაკუთრებით, ადგილობრივი საკრებულოსთვის. ბევრს თვალზე სიხარულის ცრემლიც კი მოერია და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ დღეს ასირიელთა არაერთი თაობა მართლაც მოუთმენლად ელოდა. თვით შენობა მრავალფუნქციურია და შედგება სამლოცველოსაგან, კლასებისგან, სადაც ასირიული მრევლის წარმომადგენლები შეისწავლიან მშობლიურ არამეულ ენას, ისტორიას, კულტურას, აღმოსავლურ საგალობლებს, აგრეთვე უცხო ენებს. ჩვენი მიზანია ვეცადოთ, ყველანაირად შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტურობა, ტრადიციები და კულტურა.

საქართველოში ასირიელები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, გარდაბანში, სენაკში, ზუგდიდსა და ქუთაისში, აგრეთვე სოფელ ძველ ქანდაში.

გარდაბანში მცხოვრებ ასირიელთა ერთი ნაწილი საქართველოში ჩამოსახლდა აზერბაიჯანიდან, სადაც მათი წინაპრები მე-20 საუკუნის დასაწყისში თურქეთიდან ჩავიდნენ, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც მე-18 საუკუნიდან ჩამოსახლდა საქართველოში, ქალაქურმიიდან (ირანი) და მის შემოგარენში მდებარე სოფლებიდან ჩამოსული ემიგრანტების შთამომავლები არიან. ამჟამად გარდაბანში არსებობს ეკონომიკური ხასიათის მრავალი პრობლემა, რამაც განაპირობა გადაწყვეტილების მიღება ასირიულ-ქალდეური რელიგიურ-კულტურული ცენტრის მშენებლობის შესახებ. სხვა ყველაფერთან ერთად, დიდ სირთულეს წარმოადგენს ოჯახის ყველა წევრის თბილისში ჩამოსვლა, რაც, გარდა უსახსრობისა, დაკავშირებულია სოფლის მოსახლეობის ყოფასთან (მათ მხოლოდ კვირაობით აქვთ საშუალება, მთელი კვირის ნაშრომი გაიტანონ ბაზარზე გასაყიდად). ბევრს არ შეუძლია თბილისში მარ შიმონ ბარ საბაეს ასირიულ-ქალდეურ კათოლიკურ ეკლესიაში მისვლა ჯანმრთელობის პრობლემების გამო, რადგან ეკლესია მდებარეობს 45 კილომეტრში მოსახლეობის კომპაქტური დასახლებიდან და საცობების გამო ორი საათი უხდებოდა გზაში ყოფნა. რელიგიურ-კულტურული ცენტრი

გარდაბანში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენი ხალხის კონსოლიდაციაში, მათ მშობლიურ კულტურასთან დაახლოების საქმეში და აგრეთვე ხელს შეუწყობს ასირიელთა ინტეგრაციას თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. ცენტრის გახსნით სხვა ქვეყნებში ემიგრაციის ნაკადი მნიშვნელოვნად შემცირდება, განსაკუთრებით გარდაბნის ახალგაზრდა თაობას შორის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ცენტრიდან მოშორებით მცხოვრები მოსახლეობა შეძლებს სრული დატვირთვით ჩაერთოს რელიგიურ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული სახის პროექტებში.

მარ თომას ასირიულ-ქალდეური რელიგიურ-კულტურული ცენტრის საზეიმო კურთხევის ცერემონიაზე მონაწილე სტუმართა შორის იყვნენ: მისი აღმატებულება **მარ თომა მერამი** - ურმიის არქიეპისკოპოსი და სალამასის ეპისკოპოსი; მისი აღმატებულება **მარ ფრანსის კალაბატი** - წმ. თომა მოციქულის ქალდეური კათოლიკური ეპარქიის ეპისკოპოსი (დეტროიტი, აშშ); მისი აღმატებულება **მეუფე ჯუზეპე პაზოტო** - ამიერკავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი; **მონს. ალექსანდრ რაჰინია** - წმიდა საყდრის სადესპანოს დიპლომატიური მრჩეველი; ქ-ნი **ანაჰით მხოიანი** — „საქართველოს კარიტასის“ აღმასრულებელი დირექტორი; „საქართველოს კარიტასის“ თანამშრომლები: ქ-ნი **მარიამ ალხანაშვილი** - ფინანსური მენეჯერი; ქ-ნი **ლიანა მხეიძე** — პროექტის დიზაინსა და მენეჯმენტის სპეციალისტი; ბ-ნი **გაიოზ კუბანეიშვილი** — ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მენეჯერი; აგრეთვე საპატიო სტუმრები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, ირანიდან და თბილი-



სის მარ შიმონ ბარ საბაეს ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის მრევლი.

გვსურს, უდიდესი მადლობა გადაუხადოთ ჩვენს დონორებს, რომელთა ძალისხმევით გარეშეც ვერ შევძლებდით ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებას: წმ. თომა მოციქულის ქალდეურ კათოლიკურ ეპარქიას (დეტროიტი, აშშ); გერმანიის საქველმოქმედო ორგანიზაციებს **Renovabis** და **Kirche in Not**; საქველმოქმედო ორგანიზაციას **Cnewa** (აშშ). ასევე, განსაკუთრებული მადლობა მის აღმატებულებას, მეუფე ფრანსის კალაბატს და მამა მანუელ ბოჯის (წმ. თომას ქალდეური კათოლიკური ეპარქია, დეტროიტი).

ცერომონიის დასასრულს, ქორეპისკოპოსი ბენიამინ ბეტიადგარი, ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი საქართველოში, მოესიყვარულა მისთვის უსაყვარლეს თბილისისა და გარდაბნის მრევლს, მადლობა გადაუხადა მათ მზარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.



მამა ლუიჯი მანტოვანი

საქართველოში მოღვაწე უზუცესმა კათოლიკე მღვდელმა, 92 წლის მამა ლუიჯი მანტოვანიმ, ქუთაისის საკრებულოში თითქმის 25 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, საქართველო დატოვა და იტალიაში გაემგზავრა. მისი მისიის დასრულება ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინების შესაბამისად გადაწყდა.

მამა ლუიჯი ენათმეცნიერია, შედგენილი აქვს ქართულ-იტალიური (2014) და იტალიურ-ქართული (2006) ლექსიკონები. ასევე, იტალიელთათვის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, არის ავტორი ქართულ-ლათინური ლექსიკონისა, რომელიც დაახლოებით 50 000 სიტყვას მოიცავს და ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და მდიდარ ლექსიკონად მიიჩნევა.

2019 წელს მამა ლუიჯის ქუთაისის აკაკი წერეთ-

ლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. მის შესახებ რეჟისორმა ლელა ბერიძემ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „სიტყვის კაცი“, სადაც საუბარია მამა ლუიჯი მანტოვანის განსაკუთრებულ ლინგვისტურ გატაცებასა და სიტყვებისადმი უჩვეულო სიყვარულზე.

მამა ლუიჯი მანტოვანი სამშობლოში სტიგმელთა ორდენის ძმებმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ და მამა დანიელე ჯაკომელიმ, ასევე ქუთაისში მოღვაწე მონაზვნებმა, მრევლმა, ინერისა და დასავლეთ კარიტასის თანამშრომლებმა გააცილეს.

ძვირფასო მამა ლუიჯი, მადლობა თქვენი მსახურებისათვის საქართველოში!

Catholic.ge



სატაძრო მშენებლობის ალორძინება



უღე მოსახლეობის მიხედვით სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი სოფელია. 1904-1906 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით, აქ აიგო და ღვთისმშობლის სახელზე ეკურთხა საქართველოსა და, მერწმუნეთ, მთელ რეგიონში ერთ-ერთი გრანდიოზული ტაძარი. გუმბათის სიმაღლისა და შიდა სივრცის გათვალისწინებით, ამ ნაგებობას სოფლის ტიპის დასახლებებში აგებულ სატაძრო ნაგებობს თუ შევადარებთ, სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, ალბათ ანალოგი არ ექნება. უნიკალურია უდის ტაძრის აგების ისტორიაც, მის მშენებლობაში, ადგილობრივ კათოლიკეებთან ერთად, მუსლიმი თანასოფლელებიც იღებდნენ მონაწილეობას, რასაც 1906 წელს ღვთისმშობლის ტაძრის კედელზე ამოკვეთილი წარწერაც ადასტურებს. ამ ლაპი-

დარული წარწერით ვიგებთ, რომ იმუამად სოფელ უღეში 2120 სულ კათოლიკეს და 520 სულ ქართველ მუსლიმს უცხოვრია. 1937 წელს ტაძარი დახურეს, თუმცა კათოლიკურ სამრევლოს არსებობა არ შეუწყვეტია, ისევე როგორც სხვა დანარჩენ სოფლებში, სადაც ლათინური ან სომხური წესის კათოლიკეები კომპაქტურად სახლობდნენ. 1987 წელს უდის ტაძარი სხვა კონფესიას გადაეცა, რის გამოც კათოლიკეები სატაძრო ნაგებობის გარეშე დარჩნენ. პრობლემა საკმაოდ მწვავე ხასიათის გახლდათ და გამოსავალი არ იკვეთებოდა. ამიტომაც სოფელ უღეში ახალი კათოლიკური ტაძრის უმოკლეს ხანაში აგება ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად იქცა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად სამოციქუ-

ლო ადმინისტრაცია, სასულიერო დასი და სამრევლო აქტიურად ჩაერთო.

ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის დიდი ძალისხმევით, უკვე 2000-იან წლებში მოხერხდა, რომ უღეში აგებულიყო სატაძრო ნაგებობა, რომელიც შემდგომ **წმიდა იოსებ მშრომელის სახელზე ეკურთხა**. ამრიგად, ტაძრის პრობლემაც ნაწილობრივ მოგვარდა, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სოფელი უღე მრავალრიცხოვანია და საკმაოდ ვრცელ ფართობზეა გაშენებული, მსახურებაში სისტემატური მონაწილეობა მორწმუნეებს უჭირდათ, თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სატაძრო ნაგებობაც თავისი მასშტაბით საკმაოდ მოკრძალებულია. ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციამ ეს პრობლემაც მოაგვარა და უდის ზემო



უბანში, ე. ნ. პირდაპირებში, შეიძინა კარმიდამო და იქ წმიდა გიორგის სახელზე სამლოცველო სახლი მოაწყო. ფაქტობრივად, ერთი ტაძრის ნაცვლად უდელ კათოლიკეებს სოფლის ორ უბანში განთავსებული საკულტო ნაგებობა გააჩნიათ, რამაც უფრო კომფორტული გახადა დიდი სოფლის მოსახლეობისათვის, მათი საცხოვრისი ადგილის მიხედვით, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა.

სამლოცველო სახლების მოწყობის თემა საქართველოში საკმაოდ აქტუალურია და იგი კარგი ცხოვრებით ნამდვილად არ არის ნაკარნახევი. არსებული ვითარების გათვალისწინებით, როდესაც ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება, სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით, ფაქტობრივად, ზღუდავდა კათოლიკეებისათვის ახალი ტაძრის აგებას (გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამორთმეული ტაძრების დაბრუნებაზე ხომ საუბარი საერთოდ არ წარმოებს), ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია იძულებული გახდა, არსებული სტატუს კვოდან გამომდინარე, ერთგვარი კომპრომისის სახით, დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ სამლოცველოების მოწყობით იმ ქალაქებსა თუ

სოფლებში, სადაც არსებობდა კათოლიკე მორწმუნეთა თუნდაც სულ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლის წევრებსაც სურვილი ჰქონდათ სამრევლოდ ჩამოყალიბებულიყვნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ძირითად შემთხვევაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია მსგავს წინააღმდეგობრივ მაგალითებს აწყდებოდა. კათოლიკე მორწმუნეებით დასახლებულ კონკრეტულ პუნქტებში ან არსებობდა წინა საუკუნეებში აგებული კათოლიკური საკულტო ნაგებობა და მას სხვა კონფესია იყო დაპატრონებული, ან ადგილობრივი ხელისუფლება არ აძლევდა კათოლიკეებს მათ მიერ კანონიერად შექმნილ მიწის ნაკვეთზე ტაძრის აგების უფლებას. მსგავსი პრობლემა დღემდე გადაუჭრელად რჩება ქალაქ ქუთაისში, გორში და, ასევე, ცალკეულ სოფლებში.

საქართველოში მონვეულმა და ქუთაისში დამკვიდრებულმა სტიგმელთა კონგრეგაციის მამებმა 1994 წლიდანვე დააფუძნეს მისია და მისიის შენობაში მარიამის უმანკო ჩასახვის სამლოცველოც მოაწყვეს. ტრადიციულად ასეც ხდება, ყოველ მისიაში არის დახურული ტიპის, ე. ი. სამონასტრო სამლოცველო,

რომელიც მისიის წევრებისათვის არის განსაზღვრული. მაგრამ ქუთაისში ადგილობრივ კათოლიკეებს არ გააჩნდათ არანაირი სამლოცველო და ქალაქის მერიაც ყოველნაირი მეთოდით ზღუდავდა მათთვის რაიმე ფართის არათუ გადაცემას, არამედ ახალი ტაძრის აგებასაც. სწორედ ამ ვითარებიდან გამომდინარე, ქუთაისში სტიგმელთა მისიის პირადი სამლოცველო სივრცე მთელი ქალაქის კათოლიკეთა სამლოცველოდ ჩამოყალიბდა. ასე რომ, ქუთაისის სტიგმელთა კონგრეგაციის მარიამის უმანკო ჩასახვის სამლოცველო სივრცე, რომელიც სტიგმელთა მისიის ძირითადი ნაგებობის უშუალო ნაწილია, იქცა საქართველოში კათოლიკური სამლოცველო ნაგებობების ახალი ტრადიციის ჩამოყალიბების პირველ პრეცედენტად, ასე ვთქვათ, პირველ მერცხლად.

აქედან მოყოლებული, საფუძველი ჩაეყარა საქართველოში კათოლიკური სამლოცველო სახლების არქიტექტურისა და დიზაინის ახლებურ კონსტრუირებას. ამასთანავე, ქუთაისის მარიამის უმანკო ჩასახვის სამლოცველო სახლი ადგილობრივ კათოლიკეთათვის იქცა საკულტო ფუნქციის მატარებელ ნაგებობებთან ადაპტაციის საუკეთესო საშუალებად. ეს მე-



ტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორია, ერთგვარი კულტურული შოკის შემცველი ელემენტებით. საქართველოს მკვიდრ კათოლიკე მორწმუნეებს, პროტესტანტული დენომინაციების საკრებულოთა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ისტორიულად ყოველთვის ტიპური ქრისტიანული სიმბოლიკით გამორჩეული საკულტო ნაგებობები გააჩნდათ, სადაც მოიაზრება დიდი ან საშუალო ტაძრები, ან მცირე სამლოცველოები, ე. წ. კაპელები, რომელთა არქიტექტურაც დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ტრადიციული კონფესიების საკულტო ნაგებობებისაგან. განსხვავებით კათოლიკეებისა, მართლმადიდებლებისა და ლუთერული ეკლესიებისა, საქართველოში XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული მრავალრიცხოვანი პროტესტანტული დენომინაციების დიდი უმრავლესობისათვის სრულიად სადა არქიტექტურის მქონე სამლოცველო სახლი, ან რიტუალური სივრცე ჩვეული მოვლენაა, მაშინ როდესაც ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლებისთვის ეს სიმარტივე სათანადო საკულტო ნაგებობის უკმარისობით განპირობებული იძულებითი არჩევანია.

ქუთაისის სამლოცველო სახლის მაგალითზე უკვე გამოიკვეთა ესთეტიკური კონცეფციაც,



რომელმაც გაუადვილა ადგილობრივ კათოლიკეებს ახალ რეალობასთან შეგუება. მნიერი მხატვრული ელემენტები, მაგალითად, მარიამის უმანკო ჩასახვის სამლოცველო სივრცის საკურთხევის მცირე, მაგრამ შთამბეჭდავი ვიტრაჟები, ტიპური კათოლიკური ტაძრის ინტერიერში ყოფნის აღქმას ქმნიან მორწმუნეებში. ვიტრაჟები გახდა ის მცირე, თუმცა გამსაზღვრელი დეტალი, რამაც ქუთაისის სამლოცველო სახლის ინტერიერს კლასიკური კათოლიკური ელფერი მიანიჭა. მარიამის უმანკო ჩასახვის სამლოცველოს ამოქმედების შემდგომ მუდმივი ან დროებითი სამლოცველო სახლები ამოქმედდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ქალაქ გორისა და სოფელ ბეთლემის სამლოცველოზე „საბას“ წინა ნომერში უკვე გვექონდა საუბარი, მუდმივმოქმედი სამლოცველო ბორჯომში, კახეთის სოფელ სანავარდოსა და მთისძირში; გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში, ასევე, სამხრეთ საქართველოს სოფელ ივლიტასა და ბენარაში. თითქმის მეოთხედი საუკუნე ქალაქ რუსთავის კათოლიკეებაც იძულებული იყვნენ, დროებით სამლოცველო სახლებში აღესრულებინათ რიტუალები. მთავარი კი ის ფაქტია, რომ კათოლი-

კეებმა დაძლიეს ფსიქოლოგიური ბარიერი, სადაც არ არის სატაძრო ნაგებობა, მსახურება სამლოცველო სივრცეში ან, თუნდაც, ღია ცის ქვეშ (ისე როგორც, მაგალითად, ბუზმარეთში) აღავლინონ. ზუსტად ამ პრობლემას ეხმიანება ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ჯუზეპე პაზოტოს მიერ 2009 წელს წარმოთქმული ქადაგების ერთი შეგონება, რომ „ეკლესია ქვები არ არის, ეკლესია მორწმუნე ადამიანთა საკრებულოა, მაცხოვრის რწმენით აღსავსე გულების საკრებულო და მისი წართმევა შეუძლებელია. ამიტომ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რა არის უფრო მთავარი, ქვები თუ ადამიანი“.

ცხადია, ძალიან კარგი და ლამაზია შთამბეჭდავი არქიტექტურული ფორმების სატაძრო ნაგებობა; ტყუილად კი არ ცდილობდნენ საუკუნეთა მანძილზე ცნობილი არქიტექტორები შეექმნათ განუმეორებელი, მასშტაბური ფორმების მქონე ტაძრები, ტყუილად კი არ ამშვენებდნენ ტაძრების შიდა სიბრტყეებს მოზაიკით, ფრესკებით, ვიტრაჟებითა და სკულპტურებით საქვეყნოდ სახელგანთქმული ხელოვანები. ესთეტიკური განწყობა ხელს უწყობს რელიგიური გრძნობის გაძლიერებასა და ღვთაებრიობის



საბანებო ჩანართი

აღქმას, ვინაიდან ეს მშენებლობა ღვთაებრივი რწმენის მეშვეობით გადაეცემა ხელოვანს. თუმცა სატაძრო ნაგებობის არქონამ, რაც სხვადასხვა ობიექტური ან სუბიექტური მიზეზითაა განპირობებული და ხშირად დაძლევადია, არ უნდა შეაფერხოს მორწმუნეთა საკრებულოს ერთიანობა და ღვთისკენ სწრაფვის სურვილი. სწორედ ამ აზრს ატარებს მეუფე ჯუზეპე პაზოტოს მიერ ზემოთ მოყვანილი სიტყვები.

ხიზაბავრა ერთ-ერთი გამორჩეული კათოლიკური სოფელია მთელ სამცხე-ჯავახეთში. აქედან მცირემინიანობის გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლებულმა კათოლიკეებმა დააარსეს მრავალი სოფელი, სადაც დღესაც არსებობს კათოლიკური სამრევლოები. ზოგიერთ სოფელში, ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ახალი სამლოცველოებიც აიგო. თუმცა ყოველი ხიზაბავრელისათვის **ასპინძის ხიზაბავრის იესოს ღვთაებრივი გულის ტაძარი** მაინც გამორჩეულია.

სოფელ ხიზაბავრის ეკლესია XIX საუკუნის II ნახევარში არის აგებული, მისი არქიტექტურული ფორმა და ის რელიეფი,

სადაც აღმართულია ტაძარი, დეკორატიული ფორმების უკიდურესი სისადავე, შიდა სივრცის განაწილება ნინოწმინდის სოფელ ემტიას ტაძრის ანალოგიურია. იმ ეპოქაში სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა რამდენიმე ტიპი კათოლიკური ტაძრებისა, ამიტომ რეგიონის სატაძრო არქიტექტურა საკმაო მსგავსებით გამოირჩევა. ეს არქიტექტურული ტიპი მორგებულია ადგილობრივ პირობებს (რელიეფი, კლიმატი), კომფორტულია და ადგილობრივი მოსახლეობის ესთეტიკაშიც ორგანულად არის დამკვიდრებული. ხიზაბავრის ტაძარი გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკური რეპრესიების დროს დაიხურა, თუმცა მოსახლეობა მასზე მუდმივად ზრუნავდა. 80-იანი წლებიდან ხიზაბავრის სატაძრო ნაგებობა, ფაქტობრივად, მხოლოდ რელიგიური მიზნებისთვის გამოიყენებოდა. ამიტომ 1989 წელს, როდესაც რელიგიების საქმეთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა და მორწმუნეებს დაუბრუნა ტაძარი, ნაგებობას რესტავრაცია არც დასჭირვებია და სამ ათწლეულზე მეტია, შეკეთებისა და რაიმე შემდგომი არქიტექტურული ცვლილებების გარეშე მოალ-

ნია ჩვენს დღეებამდე. ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის გადამწყვეტილებით, გასული საუკუნის ბოლოდან ხიზაბავრის საკრებულოსა და ტაძარზე ზრუნვა წმ. კამილოს ორდენის მამებს დაეკისრათ და მათაც, მეოთხედი საუკუნეა, ზრუნვა არ დაუკლიათ ამ სოფლისა და სამრევლოსათვის.

ხიზაბავრის მახლობლად მდებარეობს სოფელი **ვარგავი**, სადაც ასევე კათოლიკეები სახლობენ. გასულ საუკუნეში ვარგავის კათოლიკური სამლოცველო განადგურდა და მხოლოდ ნანგრევებმა მოაღწია ჩვენს დღეებამდე. ხიზაბავრის კათოლიკური საკრებულოს ადდგენის პარალელურად, წმ. კამილოს ორდენის მამებმა და პირადად მისიის წინამძღვარმა მამა პავლე დილმა ვარგავშიც ააღორძინეს კათოლიკური საკრებულო. 2002 წელს, ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის თანადგომითა და პირადად მამა პავლეს დიდი ზრუნვით, დასრულდა ვარგავის ახალი ტაძრის მშენებლობა და **ტაძარი მარიამ დედოფლის სახელზე ეკურთხა**. ვარგავის ახალი ტაძარი ძველი ტაძრის ნანგრევების სიახლოვეს არის აგებული; არქიტექტურული ფორმები, მსგავსად რეგიონში არსებული ტაძრებისა, მეტად სადაა, გაფორმება მინიმალისტურია, რითაც ჯავახეთის არქიტექტურის საერთო ხასიათს იმეორებს. ტაძრის ეზო დაბალი გალავნით არის შემოსაზღვრული, მაგრამ, ჯავახეთის მკაცრი კლიმატისა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით, ტაძრის ეზო დეკორატიული მცენარეებით არ არის დამშვენებული, თუმცა პერსპექტივაში მცირე არქიტექტურული ფორმებით ეზოს დამშვენება მეტ ესთეტიკურ ხიზლს მიანიჭებს ამ სადა ტაძარს.



ბამრძილაძე,
დნანუციანი „საბა“ # 7 (331)

უანგარობა - ბუნებრივი მადლი, რომელიც უნდა გავაძლიეროთ

უანგარობა, უფრო სწორად, უანგარობის პედაგოგია, ორ აღმზრდელობით კერას ეხება: სკოლა-სა და ოჯახს. ოჯახში კონკრეტული მაგალითებით ვსწავლობთ. თუკი მშობელი მთელ თავის ენერჯია-სა და დროს მხოლოდ თავისი ინტერესების გამო ან გამორჩენის მიზნით ხარჯავს, მაშინ შვილებიც სარგებლის მიღების იდეით გაიზრდებიან. აღზრდის მიზანი ისაა, რომ „გამომამზეუროს“ და გააძლიეროს ყველა ის მადლი, რაც ბუნებრივად დევს თითოეულ ადამიანში. რამდენჯერ გამოგვისატავს აღფრთოვანება ბავშვის გულწრფელობის, უბრალოების გამო, რაც, სამწუხაროდ, ზრდის პროცესში რატომღაც ინავლება.

სწორედ ამ თემაზე დამაფიქრა მონანილეობამ ერთ-ერთ ვებინარში, სადაც საუბარი ეხებოდა პაპიოანე XXIII-ის საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნს - „უანგარობის პედაგოგია“. ეს არის ხელოვნება, რომლის ათვისებაც ყველას შეუძლია. „უანგარობაში კი არ ვიზრდებით, არამედ თავად უანგარობა იზრდება ჩვენში“. „უანგარო საზოგადოების“ ჩამოყალიბება, რომლის ცენტრშიც იქნება ადამიანი და, განსაკუთრებით, საზოგადოების დაუცველი წევრები, რომლებიც ვერ იქნებიან მარგინალები, რადგანაც ისინი წარმოადგენენ საყრდენს საერთო სიკეთის ასაგებად - ასეთი გახლავთ ამ საზოგადოების დამფუძნებლის, დონ ო. რენცოს აზრი. მიღებული გამოცდილება გვიქარწყლებს იმ ეჭვებს, რომ უანგარობის საკითხისადმი აღმზრდელობითი მიდგომა უტოპიაა. თუკი სკოლის მაგალითს მოვიყვანთ, შეიძლება აქ ნიშნების გაუქმებაზე ვისაუბროთ, ეს იქნება კლასიფიკაციის ნიმუში, რომელიც გაზრდის ცოდნას და არ წაიღებს მონაფეების მთელ ენერჯიას. კვლევებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები უკეთ ითვისებენ იქ, სადაც ნიშნების გარეშე მუშაობენ, ანუ ორმხრივად ხდება იმის შეფასება, თუ როგორ გააუმჯობესონ ბავშვის სასკოლო მოსწრება. ხშირად მენტალობა პედაგოგებისა, რომლებიც ბავშვს აფასებენ, ასევე, მშობლის, რომელსაც ნიშნები აინტერესებს, მაინც შეფასებაზეა ორიენტირებული. აქ საჭიროა მენტალობის შეცვლა. „მუხრუჭის გარეშე მატარებელს საფრთხე შეექმნება. ერთადერთი გამოსავალი რკინიგზის შეცვლაა, რომელიც ვაგონს სხვა რელსებზე გადაიყვანს: ცვლილება მოაქვს აღზრდას, სხვა რელსი კი უანგარობაა“ (მ. მ. ჩიანი).

მეორე მხრივ, ოჯახში აშკარად დომინირებს ფრაზა: „Do ut des!“ - „გაძლევი, რათა მომცე!“ -



გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი მიდგომა მძიმე და უნაყოფო გზაზე დაგვაცენებს. აღმზრდელობითი მოდელი, რომელიც დღეს საზოგადოებაშია გაბატონებული, უფრო მეტად სამომხმარებლო მოთხოვნებზეა გათვლილი, ვიდრე იმ პროდუქტების შექმნაზე, რომელიც მუდმივად ახალი საჭიროებების შემოტანას ითხოვს. რა სურს ყველაზე მეტად მშობელს? რომ მისი შვილი ბედნიერი იყოს. ყველა ადამიანი ბედნიერებისკენ ილტვის, ყველა ცდილობს ცხოვრებაში საკუთარი ადგილი მოძებნოს! ბავშვმაც, რომელსაც განსხვავებული შესაძლებლობა აქვს, შეიძლება იპოვოს თავისი ადგილი. სწორ გზაზე ვიდგებით, თუკი ერთად ვივლით და ყურადღების ცენტრში ადამიანს დავაცენებთ, ანუ შევიმუშავებთ „უანგარობის პედაგოგიკას“, იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს არა მხოლოდ ადამიანთა ცხოვრება, არამედ სოციალური კონტექსტი, რაც წვლილს შეიტანს საუკეთესო, თავისუფალი და ბედნიერი მომავლის საქმეში.

პირველი, ვინც „უანგარობის პედაგოგიკა“ დანერგა, თავად იესო - ღვთის ძე გახლდათ, თავად „უანგაროდ“ მოსული სიყვარულისთვის, იმ სიყვარულისთვის, რომლის მიზეზიც მისივე არსებობა და ადამიანი იყო. ღმერთი იესოში იქცა ერთ ჩვენგანად და თავის შვილებად გვაქცია. განკაცების პრინციპი ადამიანის მიმართ ღმერთის ერთგულებას გამოხატავს, რადგანაც იგი აჩვენებს ღმერთსა და კაცს შორის ღრმა კავშირს, რაც თავისთავად ამონმებს იმ დიდ სიყვარულს, რომელიც ყველა მოვლენას თავის სისრულეს სძენს.

და ანა მარინა კრივილაური

ღვთის ნება ღვთის ღირსეული მსახურის სერაფინ კაშუბას ცხოვრებაში



სერაფინ კაშუბა (Serafin Kaszuba), პოლონელი კათოლიკე ღვთისმსახური, მისიონერი პოლონეთში ნაცისტური ოკუპაციის დროს, შემდგომ კი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, კათოლიკე ეკლესიის მიერ აღიარებულია ღვთის ღირსეულ მსახურად.

ალოიზი კაზიმეჟ კაშუბა (პოლ. Alojzy Kazimierz Kaszuba) დაიბადა 1910 წლის ივნისში უკრაინის ქალაქ ლოვოში. 1928 წელს, 18 წლის ასაკში, იგი შევიდა კაპუცინელ მცირე ძმთა ორდენში. ნოვიციატის დასრულების შემდეგ სწავლობდა კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტში ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდგომ მოიპოვა ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი.

კაშუბამ ადრე შეიცნო თავისი მოწოდება - ღვთისმსახურება, იესო ქრისტეს კვალდაკვალ სიარული. 1932 წელს მან დაიწყო რელიგიური მოღვაწეობა სერაფინის სახელით, ხოლო მომდევნო წელს იგი მღვდლად ეკურთხა. 1940 წლის შემოდგომაზე მამა სერაფინი, საკუთარი სურვილითა და წინამძღვართა თანხმობით, გაემგზავრა ვოლინში (ოლქი ჩრდილო-დასავლეთ უკრაინაში), რადგან ხედავდა, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იქ ეკლესია. მან გადაწყვიტა, ამ ვრცელ ტერიტორიებზე, სადაც არცერთი მღვდელი აღარ იყო

დარჩენილი, უკიდურესად რთულ და საშიშ პირობებში, სამწყსო მსახურებას შესდგომოდა. ასეთი გადაწყვეტილება მონაწილეა ღვთისადმი თავის სრულ მიძღვნასა და მის საოცარ გამბედაობაზე. სამწყსო მსახურება პოლონეთის ამ ტერიტორიაზე, რომელიც საბჭოთა კავშირმა მიისაკუთრა, თავისუფლებისა და სიცოცხლის დაკარგვის რისკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, იგი სიძნელეებს არ შეუშინდა. მამა სერაფინი შეგნებულად და ნებაყოფლობით მიენდო ღვთის განგებას: „ყოველთვის ვეძებ ღვთის ნებას. ბედისწერას ვარ მინდობილი...“

აღბათ სწორედ მაშინ შეიცნო მან ღვთის ნება, როდესაც ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ტადარში ლოცულობდა და ფიქრობდა თავის მოწოდებაზე. მონასტერში, ღვთის ჭვრეტისას, იგი უფრო ღრმად ჩასწვდა მის გულს, მის წადილს. ყველაზე დიდი განსაცდელისას ის იხსენებდა სიტყვებს სახარებიდან: „მუდამ ხარობდეთ; ილოცეთ განუწყვეტლივ; მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის...“ (1 თეს. 5, 16-22). და მან თავის ცხოვრებაში განახორციელა სახარების ეს სიტყვები. გარკვეული დროის განმავლობაში იგი იმყოფებოდა რიგენში (უკრ. Рівне - ისტორიული ქალაქი დასავლეთ უკრაინაში), შემდეგ ლუცკის (უკრ. Луцьк; ქალაქი უკრაინაში, ვოლინის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი) ეპარქიაში. 1941 წელს, აღდგომის შემდეგ, მას შესთავაზეს ამ ადგილების დატოვება, მაგრამ მამა სერაფინმა უარი განაცხადა უკან დაბრუნებაზე. მაშინ ვერც თავად ის და ვერც ვერაფინ განჭვრეტდა, როგორი სასტიკი გზით ატარებდა მას უფალი.

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა დაიკავეს ვოლინი და გადაწვეს ლუდვიპოლი, მამა სერაფინმა, დარჩენილ მორწმუნეებთან ერთად, თავი შეაფარა ბისტრიცას (რუმ. Bistrița, ქალაქი რუმინეთში) მიდამოებს. მაგრამ რამდენიმე თვის მერე ეს ქალაქიც გადაწვეს და მამა სერაფინი გადავიდა უკრაინის სოფელ დერმანკაში. აქ ის განაგრძობდა სამწყსო საქმიანობას, მიმდებარე სოფლებში მოინახულებდა ავადმყოფებს, ასწავლიდა ბავშვებს. მისი ძალისხმევით წყალობით სოფელ გოროდნიცაში შეიძინეს მინა და ააგეს პატარა ეკლესია, სადაც მორწმუნენი მოდიოდნენ ყველაზე შორეული ადგილებიდან, რათა მონაწილეობა მიეღოთ ღვთისმსახურებაში და ზიარებოდნენ საიდუმლოებებს. მაგრამ 1943 წელს სოფელი დერმანკაც გადაწვეს. მამა სერაფინის ისევ მოუწია გაქცევა და ტყეებში ხეტიალი.

მან მიაღწია სოფელ სტარა გუტას (უკრ. Стара Гута), სადაც, უამრავ ლტოლვილს შორის, კათოლიკეებიც იყვნენ. მან კვლავ დაინახა ამაში ღვთის ნება და დარჩა გაჭირვებულთა შორის, ეხმარებოდა და ემსახურებოდა მათ. მამა სერაფინი აღასრულებდა ნათლობისა და ქორწინების საიდუმლოს, მოინახულებდა ავადმყოფებს, წესს უგებდა და კრძალავდა მიცვალებულებს. სტარაია გუტაში მას პატივს სცემდნენ არა მხოლოდ კათოლიკეები, არამედ მართლმადიდებლებიც. ისინი მასში ხედავდნენ „დიად სულიერ მოძღვარს“, „განსაკუთრებულ ადამიანს“, რომელიც ცდილობდა ეხსნა ყოველი სული, ვინაიდან ასეთი იყო იესოს გულის ნადილი, როდესაც იგი მოვიდა ამქვეყნად კაცად ქმნილი: „ვინაიდან კაცის ძე დაღუპულის სახსნელად მოვიდა“ (მათ. 18, 11), და „არ სურს თქვენს ზეციერ მამას, რომ დაიღუპოს ერთი ამ მცირეთაგანი“ (მათ. 18, 14).

1945 წელს ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ უკრაინაში პოლონელთა იძულებით გადასახლების განკარგულება გასცა. მამა სერაფინმა, სხვა თანამემამულეებთან ერთად, პოლონეთში „გადასვლის“ ნებართვა მიიღო. ზღოლბუნოვის სადგურზე მისული, იგი ფიქრობდა ადამიანებზე, მათზე, ვისაც წასვლა არ შეეძლო ან არ სურდა: „ვისთან დარჩებიან ისინი?“ მან გადაწყვიტა დარჩენილიყო: „ორი კათოლიკეც რომ დარჩეს, მე მათთან ერთად მესამე ვიქნები“. იგი უსმენდა სულიწმიდის მშვიდ სუნთქვას, ცდილობდა ღვთის ნების განჭვრეტას თავისი ცხოვრების კონკრეტულ სიტუაციებში და მის აღსრულებას. მამა სერაფინს უთვალთვალებდნენ, სდევნიდნენ, აშინებდნენ, მის შესახებ ცილისმწამებლურ წერილებს ავრცელებდნენ, მორწმუნეთა წინაშე შეურაცხყოფდნენ, მისი მოკვლაც სცადეს. ის გარბოდა, იმალებოდა, მაგრამ მსახურებას მაინც განაგრძობდა. ზოგჯერ ლატივისა და ლიტვის საზღვრებსაც კი აღწევდა და იქ წირვას აღავლენდა, აღსარებას იღებდა და ქადაგებდა, რათა რეჟიმის მიერ დევნილ ქრისტიანთა რწმენა არ შერყეულიყო. შემონახულია მისი დღიური და წერილები, სადაც იგი წერდა თავისი განცდების შესახებ, როდესაც ყოველ წამს პოულობდა იესოს და მიჰყვებოდა მას. მთელი მისი ცხოვრება გახდა მაგალითი საყვარელი ზეციერი მამის ნების დაუღალავი ძიებისა, რომლის ბოლომდე შესრულებაც სურდა. „ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი განწმედა“ (1თეს. 4, 3).

1958 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მამა სერაფინს მსახურების საჯაროდ აღსრულება აუკრძალა. იგი არ შეურიგდა ასეთ უსამართლო გადაწყვეტილებას და მსახურებას ფარულად განაგრძობდა. თავისუფლებისა და სიცოცხლის

დაკარგვის საფრთხის მიუხედავად, ღარიბი და უსახსრო, სოფლიდან სოფელში გადადიოდა, მორწმუნეებთან ერთად ეძინა და ჭამდა, უკითხავდა მათ სახარებას, აღასრულებდა წმიდა საიდუმლოებებს. ხელისუფლების მიერ ძებნილი, მუდმივი ბინადრობის უფლებას მოკლებული, 1963 წლამდე მამა სერაფინ კაშუბა იყო უკრაინის, ყაზახეთისა და ციმბირის უზარმაზარ ტერიტორიებზე მიმოფანტული კათოლიკეების მოხეტიალე მოძღვარი. 1966 წელს იგი დააპატიმრეს და გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ გაქცევა მოახერხა. მამა სერაფინი სულით არ გატეხილა, სავსებით ღვთის ნებას მინდობილმა მსახურება განაგრძო. ცხოვრების მკაცრმა წესმა შეარყია მისი ჯანმრთელობა და იგი ტუბერკულოზით დაავადდა. მიუხედავად ამისა, ის განაგრძობდა მისიონერულ საქმიანობას ყაზახეთსა და უკრაინაში.

მამა სერაფინ კაშუბა გარდაიცვალა ღვოვში, 1977 წლის სექტემბერს, იგი დაკრძალეს ადგილობრივ, იანოვსკის სასაფლაოზე. მისი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წმიდა პავლე მოციქულის სიტყვები, რომელიც აჯამებს მთელ მის ცხოვრებას: „ყველასთვის ყველაფერი გავხდი“ (1კორ. 9, 22).



იოანე პავლე II-ისა და ბენედიქტე XVI-ის სულთმოფენობის დოქტრინა

პაპი ბენედიქტე XVI 2009 წლის 31 მაისის ქადაგებაში ხაზს უსვამს სულთმოფენობის შესახებ ტექსტის ოდნავ განსხვავებულ თეოლოგიურ შინაარსს. ის ამ დღეს ხედავს როგორც აღსრულებას იმ სიტყვებისა, რომელიც იესომ თავის მონაფეებს უთხრა იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე. ამ საკითხს შემდგომაც უღრმავდება: ყველა დღესასწაულს შორის, თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა სულთმოფენობა, რადგან მისი მეშვეობით სრულდება ის, რაც თავად იესომ გამოაცხადა, როგორც მთელი თავისი ამქვეყნიური მისიის საბოლოო მიზანი: „ამქვეყნად ცეცხლის მოსატანად მოვედი და როგორ მინდა, რომ ენთოს!“ (ლუკ. 12,49). ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველაზე ხილული ფორმით ცხადდება აღდგომიდან 50-ე დღეს, სულთმოფენობის დღეს, რომელიც, ამავე დროს, ებრაელების უძველესი დღესასწაული იყო, საბოლოოდ კი, სულიწმიდის დღესასწაულად იქცა *par excellence*: „და ერგენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი, და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით“... (საქმე 2, 3-4). ჭეშმარიტი ალი - სულიწმიდა ქრისტეს მიერ მოველინა წუთისოფელს. ეს ცეცხლი ქრისტემ ღმერთებს კი არ მოპარა, როგორც ეს, ბერძნული მითის თანახმად, პრომეთემ გააკეთა, არამედ თავად გახდა „ღვთის ძღვენი“ შუამავალი, როდესაც ეს ძღვენი მოიპოვა ჩვენთვის კაცობრიობის ისტორიაში გულმონყალების ყველაზე დიდი აქტის - ჯვარზე სიკვდილის გზით.

ბენედიქტე XVI აგრძელებს ცეცხლის თემას და მიგვითითებს იმაზე, რომ იესოს მიერ დაპირებული მისი სიკვდილისა და აღდგომის წინ, ეკლესიას კვლავ მის მიერ ეძლევა. ამიტომაც ამბობს: ღმერთს სურს კვლავ აძლევდეს ამ „ცეცხლს“ ადამიანთა ყველა თაობას და, ცხადია, შეუძლია ამის ქმნა, როგორც და როცა მოესურვება. ის ხომ სულია, სული კი ქრის „სადაც მოისურვებს“ (იოან. 3, 8). თუმცა არსებობს „ჩვეული გზა“, რომელიც ღმერთმა აირჩია ცეცხლის მიწაზე მოსატანად: ეს გზა არის იესო, მისი განკაცებული მხოლოდშობილი ძე, რომელიც მოკვდა და აღდგა მკვდრეთით. იესო ქრისტემ, თავის მხრივ, დაადგინა ეკლესია, როგორც თავისი მისტიკური სხეული, რათა ეკლესიამ მის მიერ დანყებული მისიის გაგრძელება ითავოს. „მიიღეთ სულიწმიდა“, — უთხრა უფალმა თავის მონაფეებს აღდგომის საღამო ჟამს, მის სიტყვას კი ახლდა მრავლისმეტყველი შესტი: „სული შეუბერა“ (იოან. 20, 22). ამ გზით აჩვენა, რომ თავისი სული უბოძა მათ, მამისა და ძის სული.

შემდეგ პაპი აყალიბებს აქტუალურ მითითებებს მორწმუნეთა საზოგადოებისა და მათთვის, ვისაც დღეს სურს მიიღოს სულიწმიდის ძღვენი: მამ ასე, ძვირფასო



ძმანო და დანო, დღევანდელ დღესასწაულზე წმიდა წერილი გვამცნობს კიდევ ერთხელ, თუ როგორი უნდა იყოს საკრებულო, როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ, რათა მივიღოთ სულიწმიდის ძღვენი. სულთმოფენობის აღმწერ თხზულებაში, შთაგონებული ავტორი შეგვახსენებს, რომ მონაფეები „ყველანი ერთად, ერთსა და იმავე ადგილას იმყოფებოდნენ, ეს ადგილი კი არის ზედა თვალი, „ზემოთა ოთახი“, სადაც იესომ, თავის მონაფეებთან ერთად, საიდუმლო სერობაზე უკანასკნელი ტრაპეზი მიიღო, სადაც გამოეცხადა მათ აღდგომის შემდეგ — ოთახი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალშობილი ეკლესიის „სათაო ოფისი“ გახდა (იხ. საქმე 1, 13). მოციქულთა საქმენი, ოღონდ, ყურადღებას არა იმდენად ფიზიკურ ადგილზე ამახვილებენ, რამდენადაც მონაფეების შინაგან მდგომარეობაზე: „ისინი ყველანი ერთსულოვნად გამოუდმებულ ლოცვავედრებაში იყვნენ“ (საქმე 1, 14). მაშასადამე, მონაფეთა თანხმობა სულიწმიდის გარდმოსვლის წინაპირობას წარმოადგენს; ხოლო თანხმობას წინ უსწრებს ერთსულოვანი ლოცვა.

შემდეგ ბენედიქტე XVI ყურადღებას ამახვილებს ღვთის გამოცხადების ორ ნიშანზე. იწყება გრგვინვა, რომელსაც ის ძლიერ გრიგალთან აიგივებს, რათა შემდგომ მიუთითოს ჰაერის აუცილებლობაზე ბიოლოგიური სიცოცხლისთვის და გაავლოს პარალელი სულიწმიდის საჭიროებასთან სულიერი ცხოვრებისთვის. მოციქულთა საქმეებში, სულთმოფენობის აღმწერ მონაყვეთში, სულიწმიდის შესახებ საუბრისას გამოყენებულია ორი ძლიერი ხატი - გრგვინვა და ცეცხლი. რა თქმა უნდა, წმ. ლუკა გულისხმობს ღვთის გამოცხადებას სინაის მთაზე, რომელიც აღწერილია გამოსვლის

ნიგნში (19, 16-19) და მეორე რჯულის ნიგნში (4, 10-12. 36). ძველ სამყაროში გრგვინვა აღიქმებოდა როგორც ღვთიური ძალის ნიშანი, რომლის წინაშეც ადამიანი თავს გრძნობდა დამცირებულად და დათრგუნულად. გარდა ამისა, ყურადღება მინდა სხვა ასპექტზეც გავამახვილო: გრგვინვა არის შედარებული „ძლიერ გრიგალთან, ეს კი, თავის მხრივ, გვაფიქრებს ჰაერზე, რომელიც გამოარჩევს დედამიწას სხვა ციურ სხეულებში და რომელიც შესაძლებელს ხდის, მასზე სიცოცხლე რომ იყოს. ის მნიშვნელობა, რომელიც ჰაერს აქვს ბიოლოგიური სიცოცხლისთვის, სულიწმიდას აქვს სულიერი ცხოვრებისთვის; და ისევე, როგორც ატმოსფეროს დაბინძურება არსებობს, რომელიც გარემოს აზიანებს და საფრთხეს უქმნის ცოცხალ არსებებს, არსებობს გულისა და სულის დაბინძურებაც, რომელიც აზიანებს და წამლავს სულს და ისევე, როგორც არ შეიძლება მონამულულ ჰაერს რომ მივეჩვიოთ (ამის გამო დღევანდელ ეპოქაში ეკოლოგიაზე ზრუნვა პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს,) ანალოგიურადვე უნდა მოვეკიდოთ იმას, რაც ანადგურებს სულს. სამაგიეროდ, ადვილად ვეჩვევით მრავალ პროდუქტს, რომელიც აბინძურებს ჩვენს საზოგადოებას, ისეთს, როგორიცაა სანახაობის ფორმით სიამოვნების, ძალადობისა თუ მამაკაცისა და ქალის შეურაცხყოფის ჩვენება. ამბობენ, რომ ეს არის თავისუფლება, არ აღიარებენ იმას, რომ ყოველივე ეს აბინძურებს, წამლავს სულს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებში და საბოლოოდ თვით თავისუფლების ღირებულებას აკნინებს. ძლიერი ქარიშხლის მეტაფორა სულთმოფენობიდან გვაფიქრებს იმაზე, თუ როგორი ძვირფასია სუფთა ჰაერით სუნთქვის შესაძლებლობა, როგორც ფილტვებისთვის, ფიზიკური გაგებით, ისე გულისთვის, სულიერი გაგებით, სულის ჯანსაღ ჰაერს კი წარმოადგენს სიყვარული!

როდესაც ბენედიქტე XVI გადადის ცეცხლზე, ე. ი. სულის მეორე ნიშანზე, ამბობს: სულიწმიდის სხვა ხატი, რომელიც გვხვდება მოციქულთა საქმეებში, არის ცეცხლი. დასაწყისში ვახსენე განსხვავება იესოსა და მითოლოგიის პერსონაჟს, პრომეთეს შორის, რომელიც კარგად ასახავს თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელ ერთ თვისებას. დღეს, როგორც ჩანს, ადამიანური ბუნება, რომელიც დაეუფლა კოსმიურ ძალებს - „ცეცხლს“- ღმერთად საკუთარ თავს ადგენს და სამყაროს შეცვლა მოისურვა. ამასთან კი გამორიცხავს, გვერდს უვლის, ან საერთოდაც ხელს კრავს ქვეყნიერების შემოქმედს. ადამიანს აღარ სურს ღვთის ხატი იყოს, საკუთარი თავის ხატი ურჩევნია; აცხადებს, რომ არის დამოუკიდებელი, თავისუფალი, ზრდასრული. რა თქმა უნდა, ასეთი დამოკიდებულება ამჟღავნებს ღმერთთან არა ავთენტურ ურთიერთობას, რომელიც ღვთის ყალბი/ არასწორი ხატის შექმნის შედეგს წარმოადგენს, ეს ყველაფერი მოგვაგონებს სახარებისეული იგავიდან უძღვები ძის პერსონაჟს, რომელსაც ეგონა, რომ თვითრეალიზებას მამის სახლიდან წასვლის შემთხვევაში მოახერხებდა. მაშ ასე,

ადამიანის ხელში „ცეცხლი“ მისი უზარმაზარი ძალით ხდება სახიფათო; შეიძლება სიცოცხლეს და თვით კაცობრიობას შეუქმნას საფრთხე, როგორც ამას, სამწუხაროდ, ისტორია გვასწავლის. ამის დაუფინყარ მაგალითად რჩება ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედია, სადაც სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებულმა ატომურმა ენერგიამ გამოიწვია უამრავი ადამიანის სიკვდილი უპრეცედენტო მასშტაბით.

ქადაგების დასასრულს ბენედიქტე XVI აღნიშნავს, რომ სულიწმიდა სძლევს და ფანტავს ადამიანთა შიშებს, რათა ისინი იყვნენ გაბედულები და დარწმუნებულნი ღვთის სიყვარულის ძალაში. ის ამბობს: დაბოლოს, მოციქულთა საქმეებიდან კიდევ ერთი აზრის გამოტანა შეიძლება - სულიწმიდა ძლევს შიშს. ჩვენ ვიცით, რომ მონაფეებმა, მათი მოძღვრის დატყვევების შემდეგ, ზედა თვალს შეაფარეს თავი და იქ რჩებოდნენ იმის შიშით, რომ მათაც შეიძლება მოძღვრის ბედი გაეზიარებინათ. იესოს აღდგომის შემდეგ ეს შიში მამინვე არ გამქრალა, მაგრამ აჰა, სულთმოფენობის დღეს, როცა მათზე სულიწმიდა გადმოვიდა, ეს ხალხი შიშის გარეშე გამოვიდა და დაიწყო ყველასთვის სასიხარულო ამბის ქადაგება ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს შესახებ. არაფრისა ეშინოდათ „რადგან გრძნობდნენ, რომ ვიღაც უფრო ძლიერის ხელში იყვნენ. დიახ, ძვირფასო ძმანო და დანო, სული ღვთისა, სადაც კი შედის, ყველგან შიშს ფანტავს; ის გვამცნობს და გვაგრძობინებს, რომ ყოვლისშემძლე სიყვარულის ხელში ვართ: რაც არ უნდა მოხდეს, ეს უსაზღვრო სიყვარული არ გაგვწირავს. ამას მოწმობს არსებული ცნობები მონამეთა ღვანლის შესახებ, სარწმუნოების აღმსარებელთა სიმამაცე, მისიონერების უშიშრობა, მქადაგებელთა დაუცხრომელი შრომა, მაგალითი ყველა წმიდანისა, რომელთა შორისაც არიან ახალგაზრდები და ბავშვებიც კი. ასევე, ამას მოწმობს თვით ეკლესიის არსებობა, რომელიც, ადამიანთა უამრავი ნაკლოვანებისა და დაბრკოლების მიუხედავად, აგრძელებს ისტორიის ოკეანის გადაკვეთას, ღვთის სუნთქვით შთაგონებული და მისი განწმენდის ცეცხლით გაცოცხლებული. ასეთი რწმენით და ასეთი სასიხარულო იმედით ვიმეორებთ დღეს, მარიამის შუამდგომლობის წყალობით: „გამოგზავნე სული შენი, უფალო, რათა მან განაახლოს დედამიწა!“

რომის პაპ იოანე პავლე II-ისა და პაპ ბენედიქტე XVI-ის მიერ მოყვანილი ტექსტები წარმოადგენენ რწმენის დამონმებას სწავლების ფორმით, რომელიც აჩვენებს იმას, თუ რამდენად განსხვავებულ გავლენას ახდენს ღვთის სიტყვა თითოეულ მათგანზე. ეს განსხვავებები გამომდინარეობს მათი პირადი რწმენიდან და სულიერებიდან, მათი თეოლოგიური გამოცდილებიდან და იმ ხერხებიდან, რომელთა მეშვეობითაც ისინი თავიანთ ხედვას გადმოსცემენ, ასევე, მათი ინდივიდუალური მგრძობელობიდან ეკლესიასა და სამყაროში არსებული სიტუაციისა და გამოწვევების მიმართ.

მსოფლიო ახალგაზრდული დღეები - ლისაბონი 2023



38-ე მსოფლიო ახალგაზრდულ დღეებს პაპ ფრანცისკესთან უმასპინძლა პორტუგალიამ. 1-6 აგვისტოს, ქალაქ ლისაბონში, მსოფლიოს 200-მდე ქვეყნის წარმომადგენელი, დაახლოებით 1.5 მილიონამდე ახალგაზრდა შეგვეკრიბა უწმიდესი მამის მონოდებამ - „ადგა მარიამი და გაეშურა“. საქართველოდანაც გავეშურეთ შორეულ, ძალიან თბილ და ლამაზ ქვეყანაში პაპთან შესახვედრად, მის აღვლენილ წირვაზე დასასწრებად, ჩვენი ეკლესიის სისავსის სანახავად, იმ სიყვარულის გასაზიარებლად, რაც ჩვენს გულეებშია ღვთისაგან. ფანტასტიკური დღეები აღმოჩნდა...

მზადება თვეებით ადრე დაიწყო საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრში, ვამზადებდით საბუთებს, რაც საჭირო იყო საქართველოდან წამსვლელი ჯგუფისთვის, ვრეგისტრირდებოდით ნაბიჯ-ნაბიჯ, ვეძებდით სახსრებს წასასვლელად და, რაც მთავარია, ვარკვევდით ყოველ დეტალს პორტუგალიაში. ერთმანეთს შევხვდით ყოველი სამრევლოს წარმომადგენლები, რომლებიც მივდიოდით მად-ზე. დიდი გამოცდილება მივიღეთ, ბევრი მეგობარი და კეთილის მსურველი შევიძინეთ; გვაძლიერებდა, გვამხნევებდა და გვანუგეშებდა ჩვენი ეპისკოპოსისა და ნუნციუსის ლოცვა-კურთხევა, ყოველი სასულიერო და საერო პირის თანადგომა.

მად-ის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გავემგზავრეთ. მოსამზადებელი დღეებისათვის ავირჩიეთ ქალაქი პორტო, აირაემის სამრევლო, სადაც გველოდნენ მასპინძელი ოჯახები. გამოაცა მათი წინამძღვრის, მამა ანდრეი დანიელ ფერეირას და მასპინძელი ოჯახების ჩვენდამი სიყვარულმა და პატივისცემამ. ჩვენს მეორე ოჯახებად იქცნენ,

ვისთან ერთადაც ვლოცულობდით, ვმონაწილეობდით წირვებში, ვატარებდით შეხვედრებს, ვიზიარებდით სურსათ-სანოვაგეს. მონაწილეობას ვიღებდით შემოთავაზებულ სკაუტურ ბანაკებში, კონცერტებსა თუ სპექტაკლებში, ყველგან და ყველაფერში ვიგებდით მთავარს - ღვთის სიტყვას. სიამაყით ვაცნობდით სხვებს ჩვენი ქვეყნის ტრადიციებსა და ადათ-წესებს, საქართველოს ისტორიას, კულტურასა და ხელოვნებას. ჩვენი სამრევლოები აღვსილი იყო მადლიერებით და გამობატავდა თანადგომასა და ერთობას მსოფლიო ეკლესიისადმი. ბედნიერი და იმედიანი ახალგაზრდები გავიცანით მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ჩვენს ოჯახებს და ახალ მეგობრებს დიდი სიხარულით ვეპატიჟებოდით საქართველოში.

პორტუგალიაში გამგზავრებამდე, ჯგუფის თითოეულ წევრს გვექონდა ერთი დიდი სურვილი: ფატიმის სამრევლოს მოლოცვა და, საქართველოს ყოველი საკრებულოს სახელით, გულწრფელი მადლობის გადახდა დედა ღვთისმშობლისათვის. მადლობა ღმერთს, მოგვეცა ამის საშუალება.

ლისაბონში ვიგრძენი სრულად, რას ნიშნავდა ცხოვრება, მომეცა ფიქრის საშუალება. რა ბედნიერება იყო ყოველი დამლელი დღის მერე გაღვიძება და ახალი აღმოჩენების ძიება. მთელი ლისაბონი სავსე იყო გულანთებული და თვალებგაბრწყინებული ახალგაზრდებით. 2507 ღონისძიება 6 დღეში?! ეს ყველაფერი ჩვენთვის იყო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე „ალსარების პარკ-მა“, უფრო ღრმად გავაცნობიერე ალსარების საიდუმლო, ჩვენ იქ შევხვდით ქრისტეს! მთავარმა შეხვედრებმა: გახსნიტმა ღონისძიებამ, ჯვრის გზამ, ადორაციამ, პაპის მიერ აღვლენილმა წმ. წირვამ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს გონებაში. ყოველ მომართვაში ვხედავდი, როგორ გვამხნევებდა პაპი ფრანცისკე - „ნუ გეშინია, გამოიჩინე გამბედაობა, განაგრძე წინსვლა, იცოდე, რომ სირთულეების ათვისებით გვეძლევა სიყვარული, რაც ღმერთს აქვს ჩვენდამი. ღმერთს ვუყვარვართ“. არ შემეძლია არ აღვნიშნო მადლიერებაც და გაოცებაც, როდესაც მილიონ-ნახევარი ახალგაზრდის წინაშე უწმიდესმა მამამ თანადგომა გამოგვიცხადა და ყველას მოგვინოდა გველოცა შოვში მომხდარი ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილ და დაზარალებულ ადამიანთათვის, ეს დიდი შეგება და ნუგეში აღმოჩნდა ჩვენთვის. სათქმელი და გასახსენებელი ძალიან ბევრია, მთავარი არის ერთი: ჯგუფის ყოველმა წევრმა აღმოვაჩინეთ რაღაც განსხვავებული და ერთი საერთო - ღმერთი! შევხვდებით ერთმანეთს რომში, 2025 და სეულში - 2027 წელს.

ბერძონაზვნურ ორდენტო ღვინო სასწაული ღვინით

ახალმა ქრისტიანულმა ეპოქამ, რომელმაც ბევრად შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი და ცივილიზაციის განვითარების გზები, ძველ სამყაროში არსებულ ღვინის კულტურას ახალი დატვირთვა შემატა. ბერძნულ-რომაული კულტურა პურს, ღვინოსა და ზეთისუნის ზეთს ურბანული და სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაციის სიმბოლოდ და საფუძვლად მიიჩნევდა. ამიტომ ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სივრცეში აღმოცენებულმა ქრისტიანობამ სწორედ პური, ღვინო და ზეთისუნის ზეთი მიიღო ყველაზე მნიშვნელოვანი ქრისტიანული საიდუმლოების - ევქარისტისა და ზეთისცხების საკრალურ სიმბოლოდ.

იესო ქრისტეს პირველი სასწაული, რომელიც აღწერილია მოციქულ იოანეს სახარებაში, იყო წყლის ღვინოდ გადაქცევა გალილეის კანაში, ხოლო უკანასკნელი, ყველაზე მნიშვნელოვანი სასწაული მის მიწიერ ცხოვრებაში - საიდუმლო სერობაზე დადგენილი ევქარისტის საიდუმლო, რომლის უცვლელი ატრიბუტი ასევე გახდა ღვინო. „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათ. 26, 27-28). ახალ აღთქმაში ღვინო მუდმივად არსებული სიმბოლოა, რომელიც ზოგჯერ ესქატოლოგიურ ხასიათსაც იძენს: „მე გეუბნებით: ამიერიდან აღარ შევსვამ ამ ვაზის ნაყოფსაგან იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამარემის სასუფეველში“ (მათ. 26, 29). ანალოგიურად, მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლურ დატვირთვას იძენენ ტერმინები „ვაზი“ და „მინისმუშაკი“. იოანეს სახარებაში იესო ქრისტე საკუთარი თავის შესახებ ამბობს: „მე ვარ ვაზი ქვემარტი, მამარემი კი მინისმუშაკია“ (იოან. 15, 1).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ღვინო ხშირად არის ნახსენები ძველ აღთქმაში. აღთქმულ მინაზე პირველი ყურძნის სავსე მტევანი გვხვდება. მოსემ ხალხი გაგზავნა ქანაანის მიწის დასათვალიერებლად და ისინი „მივიდნენ ეშქოლის ხევამდე, და იქ მოჭრეს ვაზის რტო და ყურძნის ერთი მტევანი და წამოიღო იგი ორმა კაცმა ლატნით“ (რიცხ. 13, 23). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყოველთვის, როცა წინასწარმეტყველები იმუქრებოდნენ, რომ ღმერთი დასჯის

ისრაელის ხალხს მათი ცოდვებისათვის, ღვინო, როგორც წესი, ხვდებოდა მომავალი აკრძალვების სიაში: „ღვინოს დაწურავ და ვერ შესვამ“ (მიქ. 6, 15); „გადახმა ვაზი... ამიტომაც გაუშრა სიხარული ადამის ძეს“ (იოელ. 1, 12).

ხალხთა დიდმა მიგრაციამ, რომელმაც აპოგეას მიაღწია V საუკუნეში, გაანადგურა დასავლეთ რომის იმპერია და გამოიწვია ანტიკური ცივილიზაციის დაცემა. ერთადერთი სტრუქტურა, რომელმაც დასავლეთ ევროპაში ადრეულ შუა საუკუნეებში შეძლო გამხდარიყო არა მხოლოდ ბერძნულ-რომაული კულტურის, არამედ ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის მცველი, იყო კათოლიკე ეკლესია. საკათედრო ტაძრები და სააბატოები გახდნენ თანამედროვე ევროპის უდიდეს ვენახთა უმრავლესობის შემქმნელები.

ლიტურგიის აღსავლენად ქრისტიანობას აუცილებლად სჭირდებოდა ღვინო, ამიტომ ეკლესია გახდა ამ ეპოქაში მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მთავარი ფაქტორი. ლეგენდების მიხედვით, გვიანი ანტიკური ხანის მრავალი ეპისკოპოსი მელვინეობასთანაა დაკავშირებული, მაგალითად, წმ. მარტინი, უნგრელი ლეგიონერი, რომელიც 371 წელს ტურის ეპისკოპოსი გახდა. მიიჩნევენ, რომ მან ტურენში (ფრ. Touraine, ისტორიული ოლქი საფრანგეთში) მელვინეობას ჩაუყარა საფუძველი და შემოიღო ვაზის გასხვლა. მარმუტიეში სააბატოს დაარსების შემდეგ მან, ლეგენდის თანახმად, იქ დაიწყო ყურძნის მოყვანა და საუცხოო ღვინის წარმოება, სიკვდილის შემდეგ კი საფრანგეთში ღვინისა და მელვინეთა ერთ-ერთი ზეციერი მფარველი გახდა.



აკვანი

მოთხრობა, რომლის სკოლის სახელმძღვანელოში უნდა შევიდეს



ბაბუას წერილი ნინიკოს: „დღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავწეიქი დასაძინებლად... ჩემი პატარა ნატვრის თვალი დაიბადა. როგორც იქნა, ღმერთმა წყალობის თვალთ გადმოხედა ჩვენს ოჯახს, ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩავვისვა კალთაში... მე, ბაბუა, ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ... წესიერად შეიძლება ზღაპარიც კი ვერ მოგიყვე... სათვალევც კი არ მიშველის ჩემი დაფსობილი თვალებით წიგნი წაგიკითხო... მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს მოვიგონებ, ბაბუ... მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები... შენ სანამ მიხვდები, რომ ბაბუაშენს კარგად წერა-კითხვაც კი არ ეხერხება, მეყოლები კალთაში და მოგიყვები ჩემს გამოგონილ ზღაპრებს... მერე კი... მერე რად გინდა, ბაბუ, ჩემი ზღაპრები... თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთიანდები... მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს... ჩვენს ანკარა წყაროებს... ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც კი, რომელსაც დღესაც ნინიკელას ვუძახი, თითქოს ის პატარა გოგო იყოს, მე რომ პირველად ვნახე...“

შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე, დაჩაჩანაკებულ ბებრებს წყალს არ გვაკლებდე, დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყეფაზე გარეთ ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს... შეიძლება ისეთი კარგიც იყო, რომ ბაბუს თუთუნიც ამოურბენინო სოფლის კენკელა მალაზიიდან... მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო... შენ მაინც ბაბულისა გოგო იქნები... თვალხატულა და ჰაერივით სიფრიფანა...

ახლა შენს სიცხიან ქალაქში მოვდივარ, ბაბუ... თან მომაქვს შენი პატარა ჩიტებით მოხატული

აკვანი... ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე... წესიერად თვლა რომ ვიცოდე, დავთვლიდი კიდეც, ბაბუ, რამდენი აკვანი გამოვთალე და სულ რომ მეკითხებიან სოფელში ბერიკაცები, ვუპასუხებდი კიდეც... მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ბაბუ... რაც გამოვთალე და გავაკეთე, ყველა სიყვარულით და სითბოთი მიკეთებია... სულ იავნანას დავამღერებდი ხოლმე და ასე მგონია, ესმოდათ კიდეც ჩემი ამ დალოცვილებს... ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მეხმარებოდნენ... ისე მიხაროდა, ბაბუ, ჩემს ჭიშკართან რომ კაცი დაიძახებდა, აკვანი უნდა შეგიკვეთოო, ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა... უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, რომ შენთვისაც ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი... აბა, ქალაქში ნაყიდი აკვანი, ბაბუ, რა იქნება... ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა... სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს... შენს შვილიშვილებს ეყოფა ეს აკვანი, ისეთი ხისგანაა გამოყვანილი... რამდენი შაირის მოყოლება ვიცი ხოლმე... ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს... ჩემი გამოყრუებული დედაკაციც გვერდში მიზის... მეტი ჩვენ ვეღარ შევძლებთ, მგონია, რომ ჩამოვიდეთ ქალაქად... ესეც რომ არ იყოს, მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდეც ერთხელ, ბაბუ... სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს... გენაცვალე შენ, ბაბუ... შენ მომეცი ახლა ამის ძალა, რომ ისევ დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურთან გზას... ჩვენი ადესაც აქვე მიდევს და ალბათ მამაშენს ერთი სული აქვს, ყელს როდის გაისველებს ჩვენებური ღვინით... კი იქნება ახლა ქეიფის ხასიათზე... ვარია შევწვით... აბა, მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმეფია სტუმრებისთვის... სულგუნიც კი გამოიყვანა თავისი მიმჭკნარი ხელებით ბებიაშენმა... და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე, ბაბუ... შოთი პურები ვერ გამოვაცხვეთ, მარა არ გენყინოს... დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს... აპატიე, ბაბუ.

ისე მიცემს გული, ამ მატარებლის გუგუნშიც კი მესმის ხმა მკერდიდან... როდის გნახავ და შეგავლებ თვალს, ჩემო თვალხატულა... აი, გაჩერდა მატარებელი და ამ წერილის წერას თავს ვანებებ, იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი, მაგრამ დამთავრდა გზა და არაა ჩემი ბრალი... არა უშავს, ცოტას აქითობას მოგწერ, ბაბუ, კიდეც“...

სანა ლაშხვალის ონიაძე
ბამრძილება იქნება

აჭარის მუზეუმში არსებულ „ჯვრის გზის“ ფრესკებს რესტავრაცია ჩაუტარდა

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სარესტავრაციო ლაბორატორიაში გაიწმინდა, დაზიანებები აღმოიფხვრა, ფერები აღდგა და კონსერვაცია ჩაუტარდა აჭარის მუზეუმის რამდენიმე ხატს.

ხატები რელიეფურია, დამზადებულია თაბაშირის საფუძველზე, ზომით თანაბარია (108- 82 სმ.) და შინაარსობრივად იესო ქრისტეს ჯვარცმის პროცესს ასახავს. ხატები კათოლიკური ხასიათისაა, აქვს ქართულენოვანი წარწერები: „იესოს მესამედ დაცემა ჯვრის ქვეშ“, „იესოს მიმსჭვალვა ჯვარზედ“.

საკონსერვაციო სამუშაოები განახორციელა მხატვარ-რესტავრატორმა გიორგი ბოლქვაძემ.


აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო



განსვენება საუკუნო მინიჭე მათ, უფალო!




ტიანა ბალახაშვილი
* 21. 11. 1931, უღელ
† 19. 07. 2023, უღელ



გურამ ხითარიშვილი
* 20. 09. 1949, ვალე
† 28. 07. 2023,
ვსევოლოფსკი



პოლისკარპ აკოფიაშვილი
* 15. 01. 1938, არალი
† 07. 08. 2023, არალი



შინო სარაშანიანი
* 18. 12. 1957, ახალქალაქი
† 14. 08. 2023, შრომა



საგარეო ურთიერთობების
სამსახური
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

საბა

ISSN 2720-8001

მშენებელი: თეიმურაზიანი მ. ვანოპეტილიანი
საგარეო ურთიერთობების სამსახური, საგარეო ურთიერთობების სამსახური, საგარეო ურთიერთობების სამსახური
მშენებელი: თეიმურაზიანი მ. ვანოპეტილიანი
მშენებელი: თეიმურაზიანი მ. ვანოპეტილიანი
E-mail: saba.jurnal@gmail.com; www.mfa.gov.ge; www.saba.gov.ge; www.saba.gov.ge